ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ო ქ მ ი N1

სხდომის ჩატარების დრო:

11 მაისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები: ირაკლი შენგელია, მამუკა რიჟამაძე, ბაქარ მახარაძე, გრიგოლ შუშანია, ხათუნა არველაძე, ელეონორა არჩაია, ფიქრია ხაჭაპურიძე, ქეთევან ხურციძე, ია მაჩიტიძე, მაკა ცერცვაძე, ნოდარ ჯიქია, ლარისა შენგელია, მერი გელაშვილი, ასმათი ჯანგავაძე, თინათინ გელხვიიძე, მაკა აბულაძე.

სულ: 28 წევრიდან 17 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მანანა ჩიხლაძე, თეა ჯუღელი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, ნინო ჩიკვაშვილი, ქეთევან ბერძენიშვილი, ქეთევან ციბაძე, მაია ყუფარაძე, ნანა რობაქიძე, ლანა თოთაძე, თინათინ მილორავა.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მხოლოდ საბჭოს წევრები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ და წარმოადგინა საბჭოს პირველი სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრუქტურის გაცნობა;

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;
3. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის არჩევა;

დღის წესრიგის პროექტის შესახებ აზრი გამოთქმულა.

დღის წესრიგის წარდგენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** ისაუბრა საბჭოს სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, კერძოდ აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და გახდა 28 წევრი, ნაცვლად 18 წევრისა, ასევე საბჭოს დაემატა 2 (ორი) თანამდებობა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

„როდესაც განაცხადი გავაკეთეთ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრობაზე, ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, ჩვენთან შემოვიდა სულ 32 განაცხადი, აქედან 14 საკრებულოს წევრი იყო, როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები, დანარჩენი 18 წევრი წარმოადგენდა სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მათ შორის მედიის წარმომადგენლებსაც. ის ოთხი წევრი, ვისაც უარი ეთქვათ საბჭოს წევრობაზე, იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ისედაც შეუძლიათ ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში. ამ ეტაპზე ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს შემადგენლობა შედგება 28 წევრისგან. აქედან, 14 წევრი არის საკრებულოს წევრები, დანარჩენი 14 კი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. (არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია)".-მაგდა კოსტავა.

აზრი გამოთქვეს:

გრიგოლ შუშანიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და თანადგომა და მზაობა გამოუცხადა მომავალ საქმიანობაში.

ირაკლი შენგელიამ, ისაუბრა საბჭოს სტრუქტურაზე და ოთხი წლის მანძილზე, მისი თავმჯდომარეობის დროს მიღებული გამოცდილება გაუზიარა დანარჩენ წევრებს, მან აღნიშნა: „ ჩვენ გვინდა, რომ ეს საბჭო იყოს ინსტიტუციურად ძლიერი, მათ შორის იმ მხრივ, რომ ის პოზიციები, რომლებიც დებულებით განისაზღვრა, ეს არის საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილეები და საბჭოს მდივანი სწორად იყვნენ აღქმული და ამ საბჭოში მოადგილეებს წარმოადგენდნენ საკრებულოში არსებული ოპოზიციური

სპექტრის წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორს კი დავუთმოთ საბჭოს მდივნის პოზიცია.“ ირაკლი შენგელიამ მადლობა გადაუხადა ფონდ „სოხუმს“, რომელთანაც აღნიშნა რომ სამუშაო მემორანდუმი გააფორმა მისი თავმჯდომარეობის დროს, ასევე ყველა იმ დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც საბჭოს მუშაობაში ეხმარებიან.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** თხოვნით მიმართა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს წარმოედგინათ თავიანთი კანდიდატი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე.

გრიგოლ შუშანიამ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) მათი ფრაქციის სახელით მოადგილის პოზიციაზე წარადგინა **ხათუნა არველაძე.** თავის მხრივ, ქალბატონმა ხათუნამ თანხმობა განაცხადა შეთავაზებულ თანამდებობაზე და მადლობა გადაუხადა ფრაქციას ნდობისთვის, ასევე მოკლედ ისაუბრა გენდერული საბჭოს როლზე და მისიაზე.

ელეონორა არჩაიამ (პარტია- „საქართველოსთვის“) მოადგილის პოზიციაზე მისი კოლეგა **ნინო ჩიკვაშვილი** წარადგინა. თუმცა, ვინაიდან ქალბატონი ნინო საქართველოში არ იმყოფებოდა სხდომის მსვლელობის დროს და თანხმობას ვერ განაცხადებდა აღნიშნულ თანამდებობაზე, საბჭომ გადაწყვიტა მეორე მოადგილის არჩევა მომდევნო სხდომამდე გადაედო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ საკუთარი კანდიდატი საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, თუმცა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა **ნოდარ ჯიქიამ,** ქალბატონ მაგდას აღნიშნული საკითხის გადადებას სთხოვა, მან დასძინა, რომ ისინი მრავლად არიან წარმოდგენილი საბჭოში და სჭირდებათ ცალკე, პირადი კომუნიკაცია ერთმანეთთან, რომ შეჯერდნენ კანდიდატზე, ვინაიდან საბჭოს მდივნის ფუნქცია მეტად საპასუხისმგებლოა.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში გამართავდნენ არაოფიციალურ შეხვედრას სადაც შეჯერდებოდნენ საბჭოს მდივნის კანდიდატზე და მომდევნო საბჭოს სხდომაზე საშუალება მიეცემოდათ მისი წარდგენის.

საბჭოს სხდომის მეორე ნაწილში, საბჭოს თავმჯდომარემ კოლეგებს მიმართა ესაუბრათ და განეხილათ, როგორ წარმოუდგენიათ მომავალში საბჭოს საქმიანობა, ვინაიდან ჯერ შემუშავებული არ არის სამუშაო გეგმა.

" როგორც იცით გენდერული თანასწორობის საბჭოს ამ ეტაპზე არა აქვს სამოქმედო გეგმა, მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოს დონეზეც ხდება გენდერული სტრატეგიების განახლება, ახლა დამტკიცდება ადამიანთა უფლებათა სამთავრობო გეგმა, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, რომლებიც მოდის გენდერულ საკითხებთან ბმაში, შესაბამისად ბევრი სამთავრობო დოკუმენტიც ახლა ფორმირდება, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეროვნული სტრატეგია და მნიშვნელოვანია სახელმწიფო დოკუმენტის იმპლემენტაცია მოხდეს ადგილობრივ დონეზეც, ამიტომ პირველ რიგში, როგორც მოგახსენეთ სტრატეგია და სამუშაო გეგმა გვჭირდება, რომელიც უშუალოდ უპასუხებს სამთავრობო და სახელმწიფო სტრატეგიის გეგმებს. ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, მემორანდუმი ფონდ „სოხუმთან", გარდა ამისა გამოთქვეს სურვილი UW წარმომადგენლებმა თანამშრომლობის, ასევე USAID - ისა და საარჩევნო ფონდის წარმომადგენლებმა, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ კუთხით, რომ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშაონ, რომელიც უპასუხებს ყველა საჭიროებებს და იქნება ასევე დაფუძნებული კვლევაზე. გვაქვს შესაძლებლობა იმის, რომ აღნიშნული ორგანიზაციების დახმარება გამოვიყენოთ. მომავალი კვირიდან დაიწყება უკვე აქტიური შეხვედრები ამ ორგანიზაციებთან. ამ პროცესში ვართ ახლა, ვისთან რა კუთხით ვითანამშრომლოთ და ვინ რა კუთხით გაგვიწევს თანამშრომლობას".-**მაგდა კოსტავა.**

სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხზე საკითხზე აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქიამ - რომელმაც მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით, რომ სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესში მოისმინოს და გაითვალისწინოს წინა წლების საბჭოს მუშაობის შედეგები და ანგარიშები. ასევე გამოვიდა ინიციატივით საბჭოს სხდომა გაიმართოს სხვა ლოკაციაზე. გაიმართოს გასვლითი შეხვედრები.

ირაკლი შენგელიამ -კვლევის გარეშე ჩვენ ვიმუშაოთ ამ საკითხზე არ მიმაჩნია ვალიდურად. ჩემი ხედვა არის ასეთი, არასამთავროები და დონორი ორგანიზაციები მზად არიან ამ თანამშრომლობისთვის, ამიტომ სჯობს კვლევის შედეგები დავუკვეთოთ,

საჭიროებების კვლევა გვქონდეს, ასევე გვქონდეს ანალიზი იმ პროგრამების, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა. და მხოლოდ კვლევების საფუძველზე მოხდეს საბჭოს სტრატეგიის შემუშავება". ირაკლი შენგელიამ აღნიშნა, რომ გარდა სოციალური პრობლემებისა, საბჭოში უნდა მოხდეს ახალგაზრდული, ინფრასტუქტურის, სხვადა სხვა პრობლემების შეფასება და ანალიზიც. ასევე მან ისაუბრა საბჭოს ბიუჯეტის შესახებ და თქვა რომ საბჭოს შეუძლია ჰქონდეს მისი ბიუჯეტი, რაც მუშაობაში დაეხმარება.

ფიქრია ხაჭაპურიძემ - უნდა ჩატარდეს კვლევა, დაიდოს ანალიზი და ამ ანალიზმა უნდა მოგვცეს შედეგი. ქალბატონმა ფიქრიამ ისაუბრა, ძალადობის მსხვერპლ ქალთა და ასევე მარტოხელა მშობელთა საჭიროებებზე.

ლარისა შენგელიამ, ელეონორა არჩაიამ, მამუკა რიჟამაძემ.

ამით გენდერული საბჭოს პირველმა სხდომამ მუშაობა დაასრულა

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მ.კოსტავა
მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... საკრებულოს საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ე. კრავიშვილის მიერ.